დადგენილება № 81/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მისაღები მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

დადგენილება № 81/2020
10 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 41),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „საშემსრულებლო ხელოვნება“ მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები წარმოდგენილი დანართი № 1-ის სახით;
2. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „საშემსრულებლო ხელოვნება“ მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები დანართი № 2-ის სახით;
3. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპოზიცია“ მისაღები გამოცდების / შემოქმედე-ითი ტურების მოთხოვნები წარმოდგენილი დანართი № 3-ის სახით;
4. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკის თეორია“ მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები წარმოდგენილი დანართი № 4-ის სახით;
5. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკისმცოდნეობა“ მისაღები გამოცდის /შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები წარმოდგენილი დანართი № 5-ის სახით;

6. დადგენილება გადაეგზავნოს სასწავლო დეპარტამენტს, საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ორივე ფაკულტეტის მიმართულებათა ხელმძღვანელებს, კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიას, საქართველოში მოქმედ მუსიკალურ თერთმეტწლედებს;
7. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
8. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
9. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე